

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ნოქალაქევის ერთობლივი ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის 2002 წლის საველე სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელი ისტ.მეცნ.კანდიდატი - დავით ლომიტაშვილი

საანგარიშო წელს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევიში საველე არქეოლოგიური სამუშაოები ორ ეტაპად აწარმოა. I ეტაპი მოიცავდა პერიოდს 15 აგვისტოდან -15 სექტემბრამდე და წარმოდგენილი იყო მუზეუმის ხუთი თანამშრომლით: პ.ზაქარაია /ხელმძღვანელი/, დ.ლომიტაშვილი /ხელმძღვანელის მოადგილე/, ბ.ლორთქიფანიძე /ხელმძღვანელის მოადგილე/ თ.კაპანაძე /უფრ. მეცნ. თან/ ნ.ქებულაძე /ქიმიკოს-რესტავრატორი/, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი სტუდენტი: თ.გეგია და ირ.ლომთაძე. დიდი ბრიტანეთი წარმოდგენილი იყო ოქსფორდის /ხელმძღვანელი იან ქოლვინი/, კემბრიჯის /ხელმძღვანელი ნიკოლას არმოური/, საუთჰემპტონის /ხელმძღვანელები პოლ ევერილი და ბენჯამენ ნეილი/. უნივერსიტეტების სტუდენტებით და ასპირანტებით გრემ ევლბი, ენდრიუ შაფლანდი, ჯოანა ვილსონი, ჯეინ მათეუსი, ანა-მარია ლეითონი, ელიზაბეტ ბეიტსი, მერი შეფერსონი.

II ეტაპი 1 ოქტომბერი - 1 ნოემბერამდე პერიოდს მოიცავდა და ექსპედიციაში ჩართული იყო საქ. სახ. მუზეუმისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლები /ხელმძღვანელი პროფ. ა.კახიძე/.

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიციის I ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთის სექტორებში განხორციელდა. 2002 წლის სეზონში არქეოლოგიური სამუშაოები გაგრძელდა წინა წელს დაწყებულ თხრილში F სექტორის მე-2 კვადრატში „თხრილი A“. წლევანდელ ექსპედიციაში საუთჰემპტონის უნივერსიტეტის ჩართვამ საშუალება მოგვცა მეორე თხრილის გახსნისა. შერჩეულ იქნა ფერდობის მომიჯნავე ტერიტორია E სექტორის მე-2,3-ე კვადრატებში /ზომებით 7X7 მ/ „თხრილი B“. ორივე თხრილზე საველე არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელობას წარმართავდა ქართული მხარე /დ.ლომიტაშვილი, ბ.ლორთქიფანიძე/. საველე ფოტო სამუშაოებს აწარმოებდა ინგლისური მხარე.

არქეოლოგიური სამუშაოები - „A თხრილი“

როგორც აღვნიშნეთ I თხრილზე სამუშაოები ჯერ კიდევ წინა წელს დავიწყეთ. გასათხრელი ფართობი 60 მ² ტერიტორიას მოიცავდა (6X10 მ). თუ ამას დაემატებთ თხრილის აღმოსავლეთით, გაღავნის და მასზე ამავე კიბის მიმდებარე ტერიტორიაზე 1996-97წწ იატაკის დონემდე დაყვანილ მონაკვეთსაც, საერთო ფართობი 100 მ² ტერიტორიას მოიცავს. შესწავლილი უბანი ნაქალაქარის ყველაზე სტრატეგიულ ადგილასაა და შესაბამისად განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდებოდით ყოველგვარ გამოვლინებას. 2001 წ არქეოლოგიური კამპანიის დროს ძირითადად ადრეფეოდალური ხანის ფენებზე ვმუშაობდით. ფაქტიურად 2002 წლის სეზონში იგივე ფენის შესწავლა გრძელდებოდა. გათხრების მეთოდოლოგია მხოლოდ და მხოლოდ საპრეპარაციო სამუშაოებს ითვალისწინებდა. ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უბანი საოცრად

გადატვირთულია როგორც მასობრივი არქეოლოგიური ასევე ოსტეოლოგიური მასალებით.

არქეოლოგიური სამუშაოების I ეტაპზე თხრილის მთელი პერიმეტრი გავათავისუფლეთ წინა წელს გაკეთებული დროებით საკონსერვაციო ფენისაგან. (აღსანიხნავია, რომ ერთობლივი ექსპედიციის ყოველი სეზონის ბოლოს ხდება თხრილების პოლიეთილენის საფარით დაფარვა და მას, შემდგომ მიწის 10-15 სმ-იანი ფენით ვფარავთ).

საკონსერვაციო ფენის მოხსნის შემდეგ, მცირემასშტაბიანი საპრეპარაციო სამუშაოები ჩავატარეთ თხრილის იმ მონაკვეთში, რომელზეც გაშენებულია გალავანზე ასასვლელი კვადროვანი კიბე. კიბის გარშემო არსებული ტერიტორიის საგულდაგულო პრეპარაციამ საკმაოდ საინტერესო შედეგები მოგვცა. ირკვევა რომ ჩვენს მიერ 1996-97 წწ გამოვლენილი გალავნის დასავლეთი მხრიდან მომიჯნავე ე.წ. „იატაკი“ სინქრონულია I სამშენებლო პერიოდისა, მაგრამ იმის მიუხედავად რომ თხრილის ჩრდილო აღმოსავლეთ მონაკვეთში მასზე კიბეა გაწყობილი, ქრონოლოგიურად „იატაკის“ ფენა კიბის სამშენებლო პერიოდზე დაახლოებით ერთი საუკუნით უხნესია. საპრეპარაციო სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ იატაკი და I კედელი ერთსა და იმავე დროსაა გაშენებული და კედლის დასავლეთით მოწყობილი „იატაკი“ საერთო საფორთიფიკაციო სისტემის ერთერთი დეტაილ უნდა ყოფილიყო. გამოითქვა ვარაუდი რომ იმავე იატაკზე ახ.წ. IV ს-ის შუახანებში (ცნობილია რომ თვით I გალავნის თარიღიც IV ს-ის დასაწყისი-შუახანებია) შესაძლოა ხის კიბე ყოფილიყო გამართული, იმავდროულად კი სასიარულო დონესაც წარმოადგენდა. კვადროვან კიბესა და კირის დუღაბიან იატაკს შორის ბმა არ ჩანს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კიბე გვიან დააშენეს იატაკს. სავარაუდოდ კიბე F სექტორის მე-8-ე კვადრატში აშენებული საფასადო კოშკის თანადროულია და შესაძლოა მისი თარიღი VI ს-ის დასაწყისით განისაზღვროს.

კიბის ირგვლივ მდებარე ტერიტორიების საპრეპარაციო სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა გათხრითი სამუშაოები თხრილის დანარჩენ პერიმეტრზე ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ რომ თხრილი „უხვმოსავლიანი“ გამოდგა არქეოლოგიური მასალის თვალსაზრისით. ეს საკმაოდ უცნაურად გამოიყურება ნაქალაქარის ქვედა ტერასის სხვა დანარჩენ უბნებთან შედარებით, სადაც როგორც წესი ადრეფეოდალური ხანის მასალებით საკმაოდ გაიშვიათებული კულტურული ფენებია სგამოვლენილი. არქეოლოგიური ძეგლების ნაკლები ინტენსიურობის მიზეზების შესახებ ჩვენ წინა წლების ანგარიშებში არაერთხელ შეგვინიშნავს და იმავდროულად ვცდილობდით ამისი მიზეზებიც აგვეხსნა.

თხრილის ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთი მონაკვეთები შეიძლება ითქვას რომ გადატვირთულია კერამიკული და ოსტეოლოგიური მასალებით. ჭარბობს ცხენის, მსხვილფეხა საქონლის, ღორის და სხვა ცხოველთა ძვლოვანი ნაშთები. ხშირ შემთხვევაში ძვლოვანი მასა ნახშირთან ერთად თანაარსებობს. თხრილის მორიგი ადგილის პრეპარაციის დროს გამოვლენილი იქნა სქელკედლიანი (1,3 სმ), ცუდად განლექილი თიხის წითლადგამომწვარი, დიდი ზომის მრავალყურიანი ქოთნის (ან ქვაბის) ერთ ადგილას ჩამსხვრეული დიდი ნატეხი. ბრტყელგანივკვეთიანი ერთი ყური კორპუსთან ზედა მიერთების ადგილას გამოწვამდეა გახვრეტილი. თუ ჭურჭლის ზომებიდან გამოვალთ სავარაუდოა, რომ მას სამი ან ოთხი ყური უნდა ჰქონოდა. მრავალყურიანობის პრეცედენტი ნოქალაქევის ადრეშუასაუკუნეების ფენებიდან ჩვენ ადრეც გვქონდა – გარნიზონისათვის განკუთვნილი ქვაბი. ჭურჭელს საკმაოდ რთულპროფილიანი პირი გააჩნია. პირმოყრილ ჭურჭელს გარე მხრიდან ირგვლივი წიბო შემოუყვება სავარაუდოა რომ ხუფის ჩამოსადებად. მისი ანალოგი 1930-31 წლების ქართულ-გერმანული არქეოლოგიური კამპანიის დროსაც გამოუვლენიათ ერთ-ერთ სასიმაგრო კოშკში. ყურის ზედა მიძერწვის ადგილას გაკეთებული ნახვრეტი

გვაფიქრებინებს, რომ იგი გარკვეულ მომენტში შესაძლოა დასაკიდოც ყოფილიყო. შემორჩენილ ნატეხებს საერთოდ არ ემჩნევათ ცეცხლში მოხვედრის კვალი.

საანგარიშო პერიოდში I თხრილში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები პრაქტიკულად იმეორებენ წინა წლების გათხრების შედეგად ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ფორმებს. შეიძლება ითქვას, რომ არქეოლოგიურ მასალაში ლოკალური გამოვლინებები თითქმის არ გაგვაჩნია. მასიურ ხასიათს ატარებს სფერულმუცლიანი მცირე და საშუალო ზომის შებოლილი ქოთნის ნატეხების გამოვლენა. თითქმის ყველა მათგანი სადაა და უქურო. თხელკედლიანი, ცუდად განლექილი თიხისაგან ნამზადი, ბრტყელი ძირით. ქოთნების ერთი ნაწილი ვარდისფერსარხულიანია ნაწილი კი რუხი ფერის კეციით (ან გამომწვარი?) აღნიშნულ ფენაში თითქმის ყოველთვის ფიქსირდება ადგილობრივი წარმოების, წითელ კეციანი ლუთერიუმის ნატეხები. გამონაკლისი არც 2002 წლის კამპანია გამოდგა. გამოვლენილი ლუთერიუმის პირგვერდის ნატეხი ჩვენთვის ცნობილ ლუთერიუმის ფორმებს იმეორებს (დ.ლომიტაშვილი – 1990) მას ტუჩი და ძირი შერჩენილი არ აქვს. თითქმის მასიურ ხასიათს ატარებს ღრმა, ფართო მაღალკედლიანი ჯამების პირგვერდების ნატეხების გამოვლენა. ყველა მათგანი წითელი ფერის კარგად განლექილი თიხისაგანაა ნამზადი. გამომწვარია თანაბრად.

აღნიშნული თხრილიდან ჯერჯერობით ერთი ერთეულითაა წარმოდგენილი კერამიკული ხუფი, რომელიც დისკოსებური ხუფების კატეგორიას განეკუთვნება. რაოდენობრივი თვალსაზრისით, აღნიშნულმა მონაკვეთმა დიდი რაოდენობით სამეცნიერო ლიტერატურაში „სპეციფიკური ჭურჭლების“ სახელით ცნობილი ნაკეთობების ფრაგმენტები მოგვცა. აღნიშნული ჭურჭლები ნოქალაქევიდან წინა წლებშიც მრავლად გვქონდა, მაგრამ წელს მისი აღმოჩენების რაოდენობა გაცილებით გაიზარდა. თითქმის ყველა შემთხვევაში ეს ჭურჭლები ლეგა ნაცრისფერი, კარგად განლექილი თიხისაგანაა ნამზადი. ჭურჭელი წარმოადგენს 40-60 სმ-ის სიმაღლის 25-40 სმ დიამეტრის ბრტყელძირიან ნაკეთობებს. ძირზე და თავზე გამჭოლი 7-10 სმ დიამეტრის ნახვრეტები გააჩნიათ. ასეთი ჭურჭლების გამოვლენა დასავლეთ კავკასიაში მასიურ ხასიათს არ ატარებს. ზღვისპირეთში გამოვლენილია გუდავაში, ქვეყნის შიგნით: ვარდციხეში, ნამაშევში, ქუთაისში.¹ ეს ნაკეთობანი საზოგადოდ საცეცხლურებადაა მიჩნეული და მოქალაქეთა ფენებში დასტურდება. აღნიშნულ ნაკეთობათა ფორმები ნოქალაქევიში წინა წლებშიც ცნობილი იყო. რამდენადმე გაურკვეველი იყო დანიშნულების საკითხი. ერთადერთი მთელი ეგზემპლარი ჩვენთვის ცნობილი ნოქალაქევის ადრეული წლების დაზვერვითი ექსპედიციის მონაპოვრიდან.² დღეს რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ნიმუში მცხეთის ერთ-ერთ საცავშია დაცული.

პირველი თხრილიდან ჯერჯერობით ერთი კიდურითაა წარმოდგენილი, ჩვენს მიერ 1983-86 წწ თხრილის აღმოსავლეთიდან მომიჯნავე ტერიტორიაზე გამოვლენილი თითქმის უპრეცედენტო კერამიკული ზოომორფული ორმხრივპროტომიანი სკულპტურების ნაშტები. კიდურის გამოვლენამ ფაქტიურად მიგვანიშნა, რომ აღნიშნული კულტურა ამ რეგიონშიც ვრცელდება. ვფიქრობთ თხრილის დადრმავებასთან ერთად მოიმატებს აღნიშნული კულტურის ინტენსივობა. აღნიშნულმა თხრილმა საანგარიშო პერიოდში დიდი რაოდენობით წელშეზნექილი ამფორების ფრაგმენტები მოგვცა.

¹ ჯაფარიძე ვ. ეგრისის მატერიალური კულტურა ახ.წ. I-VII სს. სადოქტ. დისერტ. ავტორეფერატი. თბ.1999, გვ.48.

² ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვიანიძე ვ., გვინჩიძე გ. ნოქალაქევის ექსპედიციის 1974-75 წწ მონაპოვარი. სსმაე. ტ.V, თბ.1977წ. გვ.105-106.